ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 124

ქალაქი ქუთაისი 28 სექტემბერი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 სექტემბრის № 44–4422264164 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განკარგულების დანართში ჩამოთვლილი ქონების (გარე განათების კონსტრუქციის (ბოძი) წერტილები), 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (04.03.2022 წელი, №06/03) შესაბამისად, რომელიც შეადგენს 300.00 (სამასი) ლარს.

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
ბას. №

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი
საკრებულო

მუხლი 3. სააქციო საზოგადოება „სილქნეტმა“ (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978) სარგებლობაში გადაცემული 60 (სამოცი) ერთეულ გარე განათების კონსტრუქციაზე (ბოძი) წერტილი გამოიყენოს საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად, 1 (ერთი) ერთეული კაბელის გატარებისათვის, უსაფრთხოების ნორმებისა და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების სრული დაცვით. სამუშაოების შესრულების შემდგომ უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოების წარმოება.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ეკა ბაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის 28 სექტემბრის
№124 განკარგულების დანართი

სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978)
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით
სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული ქონების ჩამონათვალი

№	მისამართი	ქონების დასახელება	გარე განათების კონსტრუქციაზე (ბოძი) წერტილების რაოდენობა	საკადასტრო კოდი	განთავსების ღერძის კოორდინატები	
					X	Y
1.	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა, №31ა-ს მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	8	03.00.089	–	–
2.	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №38-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.070	–	–
3.	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა, №42-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	7	03.00.070	–	–
4.	ქალაქი ქუთაისი, ხარებავას ქუჩა, №7-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	6	03.00.312	–	–
5.	ქალაქი ქუთაისი, ავტოქარხნის სამხრეთ დასახლების №6-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.312	–	–
6.	ქალაქი ქუთაისი, ხარებავას ქუჩა (არასტანდარტული მისამართი №102-ის მიმდებარედ)	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.063	–	–
7.	ქალაქი ქუთაისი, ავტოქარხნის სამხრეთ დასახლება, №20-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.313	–	–
8.	ქალაქი ქუთაისი, შერვაშიძის ქუჩა, №58ა-ს მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.359	–	–
9.	ქალაქი ქუთაისი, ლეჟავას ქუჩა, №8-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	7	03.00.340	–	–
10.	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა, №26-ის მიმდებარე სკვერის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	4	03.00.061	–	–
11.	ქალაქი ქუთაისი, ბუკიას ქუჩა, №16-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.044	–	–
12.	ქალაქი ქუთაისი, ლეჟავას ქუჩა, №8-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.340	–	–
13.	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა, №11-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	3	03.00.089 03.00.070	–	–

ქალაქ ქუთაისის მერიის
სტამბა

14.	ქალაქი ქუთაისი, კოტე მესხის ქუჩა, №8-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	7	03.00.311	–	–
15.	ქალაქი ქუთაისი, მუსხელიშვილის ქუჩა, №32-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	–	305660.21; 305690.93	4681114.22; 4681119.08
16.	ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი, №3-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	2	03.00.075	–	–
17.	ქალაქი ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუჩა, №192-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	03.00.056	–	–
18.	ქალაქი ქუთაისი, იოანე პეტრიწის (ყოფილი ბუაჩიძის) ქუჩის II შესახვევის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	1	–	309358.62	4682379.71
	სულ		60			

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია